



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

**\*030151564870513\***

KA030151564870513

№ 01-151/ო

24 / ივლისი / 2013 წ.

**„შიზოფრენიის მკურნალობა და მართვა მოზრდილებში“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა (გაიდლაინი) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) დამტკიცების თაობაზე**

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ“<sup>1</sup> და „ვ“<sup>2</sup> ქვეპუნქტებისა და მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტების, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 27 მარტის N94/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-17 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

#### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

##### 1. დამტკიცდეს:

ა) კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტები (პროტოკოლები) - „შიზოფრენიის მკურნალობა და მართვა მოზრდილებში“ - თანდართული რედაქციით (დანართი N1);

ბ) „შიზოფრენიის მკურნალობა და მართვა მოზრდილებში“ (მოკლე ვერსია) - დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) (დანართი N1.1);


გ) რეკომენდაციები შიზოფრენიის მკურნალობისა და მართვის გაიდლაინის მიხედვით - დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) (დანართი N1.2);

დ) „შიზოფრენიის მკურნალობა და მართვა მოზრდილებში“ ინფორმაცია სერვისის მომხმარებლებისთვის - დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) (დანართი N1.3).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შიზოფრენია და სხვა ფსიქოზური აშლილობანი“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა (გაიდლაინი) და კლინიკური მდგომარეობების მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 18 დეკემბრის N277/ო ბრძანება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერიდან მე-15 დღეს.

მინისტრი

A handwritten signature in black ink, consisting of several stylized, overlapping strokes.

დავით სერგუენკო